საქართველოს მთავრობის

დადგენილება №179

2024 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 დეკემბრის №589 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 დეკემბრის №589 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/12/2021, 390000000.10.003.023145) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გადასახდელი წლიური საფასური – 8 400 ლარი გადაიხადონ ოთხ ეტაპად (თანაბარპროპორციულად) სახელშეკრულებო წლის განმავლობაში. გადახდის დამატებითი პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება გავრცელდეს მის ამოქმედებამდე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**